п 33/6 РХ 4774/1







# ც ა ი შ ი

# Цаиши

ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
კულტურის ძეგლთა დაცვისა და
რესტავრაციის საქმეთა სამმართველო

# ცაიში

## XIII — XIV სს.

ცაიშის არქიტექტურული კომპლექსი მდებარეობს ზუგდიდიდან ათ კილომეტრზე სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. თუ სოფ. ცაიშს წინა ეპოქებში იქ არსებული საეპისკოპოსო კათედრით იცნობდნენ, დღეს მის სიამაყეს ორიოდე წლის წინათ აღმოჩენილი მინერალური წყალი წარმოადგენს.

სუბტროპიკული და ციტრუსოვანი მცენარეებით დაბურული მთების კალთების ფონზე ლამაზად მოჩანს გუმბათოვანი ტაძრისა და სხვა ნაგებობათა სილუეტები.

ცაიშის ანსამბლს რთული ცხოვრება გაუვლია და რამდენიმეჯერ ყოფილა გადაკეთებული. XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე აქ ძველი ეკლესიის ნანგრევებზე აუგიათ გუმბათოვანი ეკლესია. 1614 წლის დიდ მიწისძვრას ახალი ეკლესიის თითქმის 2/3 ნაწილი დაუნგრევია. დანგრეული ეკლესია 1616-1619 წლებში აღუდგენია დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს და ცაიშელ-ჯუმათელ ეპისკოპოსს მალაქია გურიელს. შემდეგში ტაძარს დიდი ცვლილებები არ განუცდია.

ცაიშის კომპლექსი ამჟამად შედგება გუმბათოვანი ტაძრის, სამრეკლოსა და პალატის ქვედა სართულისაგან.

თავდაპირველი ეკლესიის ნარჩენები ჩაქსოვილია შემდეგ აგებული ეკლესიის ჩონჩხში. სამრეკლოს ჩრდილო კედელში შემთხვევით ჩაყოლებულ ბარელიეფზე ამ ეკლესიის მშენებლებთან ერთად გამოსახული უნდა იყოს მისი დასავლეთის ფასადი. შესაძლოა ამავე დროს იყოს აგებული პალატიც, რომლის პირველი სართული გალავნის გარეთ, ჩრდილოეთით მდებარეობს. პალატი ერთ დიდ დარბაზს წარმოადგენს. მისი თაღოვან-კამაროვანი გადახურვა შუაში მდებარე ორ სვეტს ეყრდნობა. ეს ნაგებობა შუა საუკუნეების საერო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლია.

XIII — XIV საუკუნეთა მიჯნაზე აგებული ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრიდან მიწისძვრას ყველაზე უკეთ გადაურჩა აღმოსავლეთის ნაწილი. აქ თლებით დამუშავებულ წახნაგოვან აფსიდზე განლაგებულია ლილვებითა და ჩუქურთმოვანი არშიებით მორთული სარკმლები. სამხრეთის ფასადზე თავდაპირველი მხოლოდ მარჯვენა ნაწილია ჩუქურთმოვანი კარნიზით. შუაში მოთავსებული სარკმელი ფრაგმენტებისაგანაა აღდგენილი. დასავლეთისა და ჩრდილოეთის ფასადები გუმბათთან ერთად აღდგენილია 1616-1619 წლებში. მათ კედლებში აქა-იქ ჩატანებულია უწინდელი მორთულობის ნამტვრევები.

ტაძრის შიდა სივრცე დაბალი პროპორციებითაა შექმნილი, რაც არაა დამახასიათებელი XIII — XIV ს. ამ ტიპის ძეგლებისათვის. აქ კი იგი გამოწვეული იყო ადრეული პერიოდის ნაგებობის გამოყენებით.

1616 — 1619 წლებში ჩატარებული ძეგლის რესტავრაციის დროს ეკლესია შიგნიდან მთლიანად მოუხატიათ. ამ პერიოდის ფრესკული მხატვრობიდან საკმაო ნაწილია გადარჩენილი, რომელთაგან საყურადღებოა ქვედა რიგში მოთავსებული სამოქალაქო პირთა გამოსახულება.

საკურთხევლის წინ, ორივე მხარეს, აღმართულია მარმარილოს კოლონები, რომლებიც ვამეყ დადიანს ჩამოუტანია XIV ს. ბოლოს აფხაზეთიდან ძლევამოსილი ლაშქრობის შემდეგ.

გალავანში შესასვლელთან მდგარი სამრეკლო გვიანი წარმოშობისაა. დიდ მიწისძვრას სხვა ნაგებობებთან ერთად სამრეკლოც დაუნგრევია. XVII ს. ძეგლის რესტავრაციის დროს აქ აუგიათ თაღოვანი შესასვლელი. შემდეგ კი ამ ნაწილის გამოყენებით ორსართულიანი სამრეკლო დაუდგამთ. 1919 წ. აქ დაუმარხავთ ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი იონა მეუნარგია.

ცაიშის არქიტექტურული კომპლექსი შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის განვითარების თავისებური გზის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია. მასში ჩანს დაქვეითების ხანის ის თავისებურებანი, რომლიც ნაწილობრივ შედეგი იყო მონგოლთა შემოსევის გამო ქვეყნის ეკონომიურად დასუსტებისა.

ავტორი პ. ზაქარაია, რედაქტორი ბ. ლორთქიფანიძე
თბილისი. სახელგამი. 1957

უე 01442. ტირაჟი 15.000. შეკვ. № 415. ფასი 75 კ.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

УПРАВЛЕНИЕ ПО ДЕЛАМ ОХРАНЫ И РЕСТАВРАЦИИ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ССР

# ЦАИШИ

## XIII—XIV вв.

Архитектурный комплекс Цаиши расположен в десяти км юго-восточнее г. Зугдиди. Если в предыдущие столетья деревня Цаиши славилась епископской кафедрой, то ныне ее гордостью является разведанный несколько лет тому назад минеральный целебный источник.

На фоне субтропических растений и цитрусовых плантаций, расположенных на склоне горы, вырисовываются силуэты купольного храма и других построек.

Цаишский ансамбль несколько раз был переделан. На грани XIII—XIV веков здесь на развалинах старой церкви возвели купольный храм. Большое землетрясение 1614 года разрушило почти $^2/_3$ новой церкви. В 1616—1619 годах разрушенную церковь восстановил католикос Западной Грузии Малакия Гуриели. Позднее храм существенным переделкам не подвергался.

Ныне Цаишский комплекс состоит из купольной церкви, колокольни и нижнего этажа дворца. Остатки древнейшей церкви использованы при возведении более поздней. На случайно вставленном в северной стене колокольни барельефе вместе со строителями этой древнейшей церкви, вероятно, изображен её западный фасад. Надо предполагать, что одновременно с первоначальной церковью построен и дворец, первый этаж которого расположен вне ограды, севернее. Дворец представляет собой большой зал. Его арочно-сводчатое перекрытие покоится на двух, стоящих посередине, столбах. Это здание — один из замечательных памятников гражданской архитектуры средневековья.

От построенной на грани XIII—XIV веков центрально-купольной церкви после землетрясения лучше всего сохранилась восточная часть. Здесь на выступающей граненной абсиде расположены окна, декорированные валиками и орнаментированными лентами.

На южном фасаде первоначальны только правая часть и орнаментированный карниз. Помещенное посередине окно восстановлено из фрагментов. Западный и северный фасады вместе с куполом восстановлены в 1616—1619 годах. В этих стенах кое-где использованы обломки старого декора.

Низкие пропорции внутреннего пространства храма не характерны для памятников этого типа XIII—XIV веков, но здесь это было вызвано использованием постройки раннего периода.

В 1616—1619 годах при реставрации стены изнутри полностью расписаны. Большая часть фресок этого периода сохранилась. Исторический интерес представляют расположенные в нижнем ряду изображения гражданских и духовных лиц.

Перед алтарем, с обеих сторон помещены мраморные колонны, в конце XIV века вывезенные Вамеком Дадиани из Абхазии, как военная добыча.

Колокольня, расположенная у входа в ограду — позднего происхождения. Большое землетрясение разрушило вместе с другими постройками и колокольню. При реставрации памятника в XVII веке здесь был построен арочный вход, а позднее — двухэтажная колокольня. В 1919 году здесь был похоронен известный грузинский писатель и публицист Иона Меунаргия.

Цаишский архитектурный комплекс один из интересных образцов своеобразного развития грузинской средневековой архитектуры. В нем видны особенности периода упадка грузинской феодальной культуры, который является результатом монгольских нашествий и экономического ослабления страны.

Автор П. Закарая. Редактор Б. Лордкипанидзе.

Госиздат ГССР. Тбилиси. 1957

УЭ 01443. Тираж 15.000. Зак. № 415. Цена 75 к.

Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5